31,10

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #194

ქ. სამტრედია 18 ოქტომბერი 2012 წელი

ერთის მხრივ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი თავჯდომარის ალექსანდრე ჯვარშეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი" (შემდგომში მომწოდებელი) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის **გიორგი** მშვილაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად დებენ წინამდებარე შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. " ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში _ ხელშეკრულება) _ შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, სამი- შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" _ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", კვირა", "თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4."შემსყიდველი" _ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" _ პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას, ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. საქონელი _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის სათადარიგო ნაწილების მოწოდება და მონტაჟი, კერძოდ:

1) ზეთის ფილტრი JCB 1ც
2) საწვავის ფილტრი JCB 1ც
3) საწვავის ფილტრი JCB 1ც
4) ჰაერის ფილტრი AF26656 1ც
5) ჰაერის ფილტრი AF26655 1ც
6) ჰიდრავლიკის ფილტრი JCB 1ც
7) ზეთის ფილტრი JCB 1ც
8) ძრავის ზეთი 15W40 200L JCB 15ლ

CPVკოდი 34300000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან (და თანმდევ მომსახურეობასთან) დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ,,მომწოდებლის" მიერ გამოწერილი ელ. სასაქონლო ზედნადების საფუძველზე, რომელსაც თავის მხრივ უნდა ეთანხმებოდეს ,,შემსყიდველი"

4.3 ანგარიშწორება განხორციელდება საქონლის მოწოდებიდან 2 საბანკო დღეში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მოწოდებული საქონელი შემსყიდველის მხრიდან ელ. სასაქონლო ზედნადების დამოწმების შემდეგ

5.2. საქონლის მიღებაზე კონტროლი და შესაბამისად ელ. სასაქონლო ზედნადების დამოწმების უფლება გააჩნია სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების სამსახურს (უფროსი ვაჟა გეგეშიძე)

6. საქონლის მოწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მოწოდება მოხდება მომწოდებლის მისამართზე.

6.2. საქონლის მოწოდება მომწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის საქონლის მოწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) საქონლის მოწოდება უზრუნველყოს სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში

ბ) იმ შემთხვევაში თუ მოწოდებული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხრას აღმოჩენილი ხარვეზი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის, ადგ. მოსაკრებლების, შესყიდვების, სამეურნეო ტექნიკური უზრუნველყოფის, სტატისტიკის, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსო ვაჟა გეგეშიძე,

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების მოწოდებული საქონლის ხარისხისკონტროლს

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი)%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია,
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ზალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლება მოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 ოქტომბრამდე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.	შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი"
ქ. სამტრედია რესპუბლიკის ქ.#6	აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, #5
	ქ. ქუთაისი ნიკეას. ქ
საინდ/კოდი 238769025	საინდ/კოდი 202177205
ს.ს. პრივატ ბანკი, სამტრედიის ფილიალი, ბანკის კოდი 220101702	ს.ს. თიბისი ბანკი, ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი 220101830
ანგარიშის #GE65TR0033030020000575	ანგარიშის GE80TB06 000000 244 67853

"19 10. 2012 წ."

ხელმოწერის თარიღი